სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 15 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ლევინი შვედეთის წინააღმდეგ – განაცხადი №35141/06*

აპლიკანტი ელეონორ ლევინი შვედეთის მოქალაქეა, დაიბადა 1967 წელს და ცხოვრობს ნორვეგიაში. 2005 წელს მისი სამივე შვილი მოათავსეს ბავშვთა სახლში, 2006 წელს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეზღუდეს მისი ბავშვებთან კონტაქტის უფლებები. განმცხადებელი ჩიოდა, რომ აკრძალვები არ იყო აუცილებელი და ძალიან მკაცრ ზომას წარმოადგენდა, რაც მისი აზრით არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

- *სოლომახინი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №24429/03*

აპლიკანტი სერგეი სოლომახინი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს დონეცკში. 2010 წლის სექტემბერში აპლიკანტი გარდაიცვალა და მისი სახელით საქმის გასაჩივრება გააგრძლა დედამ. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლო განხილვები, რომელიც 1999 წლის აპრილიდან დაიწყო და ეხებოდა ჯანდაცვის სამინისტროს ადგილობრივი დეპარტამენტისათვის კომპენსაციის მოთხოვნას მისი ჯანმრთელობის დაზიანების გამო, იყო უკიდურესდ გაჭიანურებული. ამას გარდა, კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით იგი, ჩიოდა 1998 წლის ნოემბერში მის მიმართ განხორცილებული ვაქცინაციის გამო, რაც გახდა მისი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი და შემდგომი ქრონიკული დაავადებების გამომწვევი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო კონვენციის მე-8 მუხლი არ მიიჩნია დარღვეულად. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2.400 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 100 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

მომდევნო საქმეები ეხება აპლიკანტთა საჩივრებს მათი სამოქალაქო საქმეების გაჭიანურებით განხილვების თაობაზე.

- *დემენოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №21922/07*
- *პაპაზოვა და სხვები უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №№32849/05, 20796/06, 14347/07 და 40760/07*
- *ტროფიმოვა და ზილკოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №№35909/06 და 50559/06*

სამივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო *ტროფიმოვასა დაზილკოვას საქმეზე* ასევე დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა.